

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს  
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 50

ქ.თბილისი

2021 წლის 26 მაისი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2021 წლის 26 მაისს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

**სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები:** მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ლაშა თავართქილაძე, ლაშა მაჭავარიანი, აკაკი კერესელიძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა დიდ 10-ში, ა/წ 22 მაისს გამართული მატჩის, თბ „აკადემია“-სა და თბ „ლოკომოტივი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ, წარმოდგენილი მასალები:

- 1) მატჩის მეთვალყურის ი. დოლიძის მატჩის ოქმი და საითინგი;
- 2) მატჩის მე-4 მსაჯის შ. ცაგარეიშვილის ჩანაწერი მატჩის ოქმში;

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

1. თბ „ლოკომოტივი“-ს მწვრთნელი ზვიად მაისურაძე - მატჩის ოფიციალურ პირთა სიტყვიერი შეურაცხყოფა.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.4 პუნქტით და მიიღო შემდეგი

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

1. თბ „ლოკომოტივი“-ს მწვრთნელი ზვიად მაისურაძე დისკვალიფიცირებული იქნას 1(ერთი) წლით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 2000(ორიათასი) ლარით.
6. დისკვალიფიცირებული მწვრთნელის მიერ სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.19 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში კლუბის მიმართ ამოქმედდება ამავე პუნქტით გათვალისწინებული სანქცია.
7. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 26 ივნისამდე.
8. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, თბ „ლოკომოტივი“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/